



ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№5 (59) ივლისი-აგვისტო 2012 წელი



წმ. მადონა მარიალუბლი

თემის ხსენების დღე



დაუღაპავალი ნათელი



თაბარის ხსენების ღვაწი უწვიმარსოვანსთან ერთად

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მოღვაწეობა მუდმივად იმ ადამიანების სულიერი სიმტკიცის გამყარებას ემსახურება, რომლებსაც ბედის უკუღმართობით საკუთარი მინის, სახლ-კარისა და წინაპართა საფლავების მიტოვება მოუხდათ. დიასპორის მუდმივი შეხვედრები ამა თუ იმ კულტურულ ღონისძიებებზე მათი ერთობის განცდის საშუალებად იქცა. ამ პროცესში უდიდესია ქართული ეკლესიისა და პირადად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის როლი.

ამჯერადაც, თამარის ხსენების დღის აღსანიშნავად გამართულ საღამოს პატრიარქმა უმასპინძლა თავის რეზიდენციაში. მისმა მშვიდმა, კეთილმა და ამაღლებულმა ლოცვამ, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა — „არასოდეს მოიშალოთ იმედი აფხაზეთში დაბრუნებისა“, კიდევ ერთხელ გაამხნევა სულიერად მასთან მისული სტუმრები — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, ცნობილი მედიკოსი ზურაბ ჩიქოვანი, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელის, სვეტლანა ქეცბას მსგავსად, მკერდს უმშვენივრად პატრიარქის მიერ ბოძებული წმინდა გიორგის ულამაზესი ორდენი, აფხაზეთიდან დევნილი მრევლი და მუსიკოსები, რომელთა მონაწილეობით წარმართა ეს შეხვედრა..

საუკუნეების მანძილზე მოქმედი ქართული ავტოკეფალური ეკლესიის კათოლიკოს პატრიარქების პორტრეტებით შემკული ისტორიული დარბაზი, რომლის თავში მოქმედი პატრიარქი იჯდა, კონცერტის მონაწილეთა

ჩეული საკონცერტო პროგრამა კი იმ კომპოზიციებს აერთიანებდა, რომელიც თამარის სახელსაც უკავშირდებოდა, საქართველოს ისტორიის მეტყველ ლიტერატურულ ეპიზოდებსაც მოიცავდა და ლოცვად აღვლენილ ევროპულ მუსიკასაც.

კონცერტი შესანიშნავმა პიანისტმა და იმპროვიზატორმა ნანა დიმიტრიადიმ გახსნა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „პირველი სიყვარულის“ ინტერმეცოს საფორტეპიანო ვერსიით. მასვე უნდა შეესრულებინა იმპროვიზაცია პატრიარქის საგალობლის „წმდაო ღმერთოს“ თემაზე. მოულოდნელად მან მიკროფონში წარმოსთქვა, თავს უფლებას ვერ მივცემ ამ თემაზე თქვენ წინაშე იმპროვიზირებისო და ორიგინალის სახით შეასრულა ეს სადა, ულამაზესი კომპოზიცია. პატრიარქმა კი ღიმილით უპასუხა — შეგიძლიათ იმპროვიზაციის უფლებაც მისცეთ თავსო. ამ უბრალო, ადამიანური დიალოგით პატრიარქმა მოუხსნა ყოველგვარი დაძაბულობა ახლგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლებს და ისინიც ჩვეული ოსტატობით წარსდგნენ მსმენელის წინაშე. ლევი იმედაშვილმა ვიქტორია ჩაპლინსკაის თანხლებით შეასრულა „თამარ გოდებავ“ და „ვინ იცის როგორ მეღის ვარძია“ ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“, ფილიპის არია ვერდის „დონ კარლოსიდან“, ხოლო მიშელინა ქობალიანმა „ავე მარია“ ვერდის „ოტელოდან“ და სამი სიმღერა გაუსტავ მალერის ვოკალური ციკლიდან „ბიჭუნას ჯადოსნური რქა“: „მიხმობს საყვირთა ხმა დიდებული“, „სამახარობლო სამ ანგელოზს ჰქონდა სიმღერა“ და „თაურნათელი“. პიანისტმა ელისო ასათიანმა არა მარტო თანხლება გაუწია მიშელინა ქობალიანს, არამედ შთამბეჭდავად ნაიკითხა საზოგადოებისათვის ნაკლებად



როგორითაც მოგვანოდა ეს ტექსტები. გამიკვირდა იმიტომაც, რომ მრავალი წლის მანძილზე საქართველოდან წასულმა, ასე ღრმად შესძლო ენის მადლის შენარჩუნება და მის სიღრმეებში წვდომა. ეს სიღრმეები, ვფიქრობ, მუსიკიდან დაიბადა მასში, იმ ფაქიზი ბგერათა ნაკადიდან, რომელიც გაისმა მის მიერ შესრულებულ ლისტის საფორტეპიანო კომპოზიციაში „ნუგეში“ უკვე ნახევრადამთავრებული საღამოს ფონზე. კარგი თანხლება მომღერლის წარმატების ნახევარია. ლევი იმედაშვილისა და მიშელინა ქობალიანის ხმების სილამაზე ორგანულად იყო შეზრდილი ნაწარმოების არსთან და ფორტეპიანოსთან ერთობაში შეკრულ დრამატულ სახიობას ბადებდა.

შეუძლებელი იყო პატრიოტული თემის გარეშე დაშლილიყო ეს თავყრილობა. ელდინო სალარაძის მიერ შთამბეჭდავად ნაყითხულმა მორის ფოცხიშვილის „ქეთევანმა“ და ნანყვეტმა კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ სწორედ ამ გრძნობით ალაგზნო დამსწრენი.

პატრიარქი ფეხზე წამოუდგა ახლგაზრდულ ანსაბლს მამუკა მანჯგალაძის, ბექა ჯავახიშვილის, გიორგი წამალაშვილისა და ლევან მაკარიძის შემადგენლობით, რომელსაც გელა ფარჩუკიძე ხელმძღვანელობდა.

საღამო თითქოს დასრულდა, მაგრამ არავინ აპირებდა დაშლას, თვით პატრიარქიც აყოვნებდა თავის აპარტამენტებში გასვლას. გაიმართა გულთბილი საუბარი, აჩხაკუნდა აპარატები პატრიარქის ღიმილიან სახეს რომ აღბეჭდავდა სტუმრებთან ერთად, წითელი ღვინით დაილოცეს სტუმარ-მასპინძელმა... საოცარი ნათელი ეფინა ყველას სახეზე...

ამაზე უკეთ აბა რა ჩასახავს იმედს კერამიტოვებული ადამიანების სულში!

მანანა კორკაია



მღელვარებას აათქეცებდა. აფხაზური დიასპორის სახელით პატრიარქისადმი მადლიერებითა და მშობლიურ მინაზე დაბრუნების იმედით აღსავსე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სვეტლანა ქეცბამ. ლია სეხნიაშვილის მიერ შერ-

ცნობილი გერმანული ხალხური სიმღერების ქართული თარგმანი. ელისო მაღალი კლასის მუსიკოსი რომ იყო, ამ საღამომაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა... მაგრამ ნამდვილი გაცოცხება გამოიწვია ჩემში ელისოს პოეტურმა ქართულმა,

ღმთაგაჩივი სუსხლის ქაღა

2012 წლის 28 მაისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის დარბაზში დევენილებისათვის წარმოადგინა ფილმი „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელი“. ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი), დეკანოზი ბიძინა (გუნია) და სხვა სასულიერო პირები.

ფილმში მოთხრობილია ახალგაზრდა ქართველი მსახიობის, ბაგრატიონთა შთამომავლის — თავგადასავალი, რომელიც უფლის საფლავიდან გარდამოსულ ღვთაებრივ ცეცხლზე ანთებულ სანთელს მრავალი განსაცდელის მიუხედავად

სამშობლოში ჩამოიტანს, როგორც საქართველოს გაერთიანებისა და სიძლიერის იმედს.

„დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი, — მიმართა ფილმის დაწყებამდე დეკანოზმა ბიძინა გუნია დამსწრე საზოგადოებას. — უპირველეს ყოვლისა, არის ზატიკის პერიოდი. ჩვენ ყველამ ერთად ვიზიემთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, გავიდა ამაღლება და შემდეგ კვირას ვიზიემთ სულთმოფენობის დღესასწაულს. ამ სიხარულის დღეებს მიუძღვნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა თავისი ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება — ფილ-

მის ჩვენება, რომელიც ადამიანისა და ღმერთის ერთობის საოცარ ისტორიას გადმოსცემს. მისი უწმიდესობა ილია II შეაგონებს თითოეულ ქართველს და ბრძანებს: „ყოველი ადამიანი უნდა ადიდებდეს უფალს, უყვარდეს სამშობლო და უყვარდეს მოყვასი“. სწორედ ეს ფილმი არის გამოხატულება ამ დიდი წმიდა შეგონებისა და, გარდა ამისა, გვისახავს იმედს საქართველოს გაერთიანების, ქართველთა ერთსულოვნებისა და ერთად დგომისა.“

დამსწრენი დალოცა ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა მეუფე თადეოზმა. საღამოს დასასრულს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლილეომ“ შეასრულა „მრავალკვამიერი“ და აფხაზური სიმღერა.

ჰუკოცავთ

2012 წლის ივლისში კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის უნეჭარესი ვლადიმერის (საზოდანის) წინამძღვრად მსახურების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე განეული ღვანლისათვის თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი **დეკანოზი ბიძინა (გუნია)** დაჯილდოვდა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ორდენით.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ულორჯავს მამა ბიძინას საპატიო ტილოს.



გზა სუღიანი სრუდყოფისაკენ

დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლისათვის უკვე ტრადიციად დამკვიდრებული მოლოცვითი მოგზაურობების გეოგრაფიამ ამჯერად ფშავ-ხევსურეთი მოიცვა. დიდი ხანი ვემზადებოდით ჩარგალსა და ბარისახოში წასასვლელად და ბოლოს ეს დღეც გათენდა. დილაადრიან შეკრებილებს საოცარი გრძნობა გვქონდა — მონინების, უფალთან მიახლოების ბედნიერების.

თავდაპირველად მალაროსკარს ვენვიეთ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მოვილოცეთ. შემდეგ გზა განვაგრძეთ და მოვიხილეთ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის ნანგრევები ბარისახოში, დავანთეთ სანთლები და შევთხოვეთ უფალს ქვეყნის გაერთიანება, საქართველოს გაბრწყინება. ტაძრის აღსადგენად უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენც ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევნიშნეთ ტაძარს. აქ მობრძანდა ფშავ-ხევსურეთის მიტროპო-

ლიტი თადეოზი (იორამაშვილი), რომელმაც დაგვლოცა და გზა ჩვენთან ერთად განაგრძო.

ბარისახოში ისეთი სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევდა, ისეთი ხალასი შეხვედრა გვქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ, რომ საქართველოს მთიანეთი ჯერაც შეუბღალავი, სუფთა ქართული სამყაროა, სადაც შენარჩუნებულია წინაპართა ყველა კეთილი ტრადიცია...

შემდეგ იყო ჩარგალი. დიდი ვაჟას სახლ-მუზეუმი, სადაც პოეტის სული ჯერაც ტრიალებს. თითქმის ერთი საათი ვმოგზაურობდით ამ ბუმბერაზი ქართველი მგოსნის სამყაროში. მუზეუმის თანამშრომელი მოგვითხრობდა ვაჟა-ფშაველას ცხოვრებაზე, ახლობლებზე. მის ნაამბობს ავსებდა მეუფე თადეოზის თბილი და დინჯი საუბარი, რომელშიც მგოსნის უზომო სიყვარული და მისი შემოქმედების ღრმა ცოდნა გამოსჭვიოდა.

ბოლოს ჩარგლის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მოსალოცად გავემართეთ. ტაძარი მაღლა, მთის წვერზეა, ძნელად მისასვლელი ბილიკი მიუყვება. მეუფე თადეოზმა კურთხევა მოგვცა, ვისაც არ შეგიძლიათ, ნუ ახვალთო, მაგრამ ახალგაზრდებთან ერთად თითქმის მთელი მრევლი მიეახლა ამ სინმიდეს. დაღლა არც გვიგრძენია. ვილოცეთ, სანთლები დავანთეთ. კვლავ შევთხოვეთ უფალს ერის კეთილდღეობა და საოცრად ამაღლებულნი დავემშვიტეთ ბილიკზე.

ბოლოს ტრაპეზი — უფრო პოეზიისა და საგალობლების საღამო, სადაც მეუფე თადეოზმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი შემოქმედებით.

დღე დასრულდა. დასატოვებლად არ გვემეტებოდა ეს უმშვენიერესი კუთხე — ვაჟას დაჭრილი, მაგრამ მაინც გოროზი არწივის სამფლობელო...

ს ს ო ვ ნ ა

დაულაქაჯაძე ნათელი

აფხაზეთის ერთ-ერთი უღამაზესი სოფელი კომანი სოხუმიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. ჩრდილოეთით მდინარე გუმისთა ჩაუდის, ირგვლივ კი მთები აკრავს. აქ ანამეს წმიდა მონაშე ვასილისკო. წმიდანის წამების ადგილზე დღესაც მოსჩქეფს სასწაულთმოქმედი წყარო. აქ მიაბარა სული უფალს გადასახლებაში მყოფმა კონსტანტინოპოლის დიდმა მღვდელმთავარმა წმიდა იოანე ოქროპირმა. აქ, მიუფალ მთებში, მესამედ გადამალეს პატიოსანი თავი წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი. კომანი წმიდა ადგილია.



კიდევ ერთი ნათელით გაბრწყინდა ეს წმიდა ადგილი 1993 წლის 5 ივლისს. აქ მონაშემობრივად აღესრულნენ ბერ-მონაზონი ანდრია (ყურაშვილი) და იპო-დიაკონი გიორგი (იური ანუა).

მამა ანდრია (ერისკაცობაში პაატა ყურაშვილი) 1966 წელს დაიბადა ბაღდათში. 1992 წლის 3 აპრილს, დაბადების დღეს, ბერად აღკვეციეს. მას უწოდეს ანდრია (მოციქულ წმიდა ანდრია პირველწოდებულის საპატივცემულოდ, რომელმაც სახარება პირველად აჭარაში იქადაგა). იმავე წლის აგვისტოში იგი მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს და მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს.

მამა ანდრიას სურდა უფრო ახლოს ყოფილიყო თავის სულიერ მამასთან, მეუფე დანიელთან. მეუფემ ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა და შეპირებული იყო, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, თავისთან გადაიყვანდა. 1993 წლის თებერვალში მისი უწმინდესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით აფხაზეთში, კომანში, წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიის წინამღვრად დანიშნეს.

„რომ იცოდნენ, თუ რას ნიშნავს, რა დიდი ბედნიერებაა მონასტერში განმარტობა, მიატოვებდნენ ყველაფერს, ყოველივე ამქვეყნიურს განერიდებოდნენ და ღვთისკენ მიმავალ გზას დაადგებოდნენ“, — ამბობდა მამა ანდრია.

ბერი სიმონი იგონებს: „კომანის წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი სოფლის შუაგულში, პატარა გორაკზე იდგა. ჩვენ, ეკლესიასთან იური ანუას ოჯახი შემოგვეგება, — მათ დიდად გაიხარეს ჩვენი მისვლით. მათი ასეთი დიდი სიხარულის მიზეზი იყო ის, რომ

ტაძარს მღვდელი არ ჰყავდა, რის გამოც ტაძარში საღმრთო ლიტურგია არ აღესრულებოდა. კომანში ჯარისკაცების მეტი არავინ იყო. ომისგან დაღლილმა ჯარისკაცებმა თანდათანობით დაიწყეს ეკლესიაში სიარული. მამა ანდრიას ქადაგებები მათ დიდად ეხმარებოდა. მეუფე დანიელმა ისინი ქრისტეს წმიდა სისხლს და წმიდა ხორცს აზიარა, რამაც მათი ინტერესი ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი კიდევ უფრო გაზარდა, ჩვენ ხშირად ვიმყოფებოდით წინა ხაზზე და ვესაუბრებოდით ჯარისკაცებს რწმენაზე და ღვთის სიყვარულზე. მათ ჩვენი მისვლა ამხნევებდათ და დიდად ახარებდათ. ღვთიკურთხეულ ამ მიწაზე ხალხის რწმენა ძალიან სუსტი იყო. მამა ანდრია ღმრთის სიტყვის ქადაგებით ცდილობდა მათ რწმენაში განმტკიცებას.

აფხაზეთის ომის დროს მრევლს ხშირად სასონარკვეთილება და შიში იპყრობდა, მაგრამ მოძღვრის მოკრძალებული ღიმილი, უწყინარი საუბარი და სიმშვიდე ნუგეშით ავსებდა და ათბობდა ომისგან გატანჯულ ადამიანებს. თავმდაბალი და მორიდებული, მოკრძალებული და თავაზიანი, მომთმენი და დიდსულოვანი, სულიერად განწმენდილი მოძღვარი არასოდეს ბრაზდებოდა. ადამიანურ სისუსტეს ყველას საოცარი სულგრძელობითა და სიყვარულით მიუტევებდა. რაც გააჩნდა, გასცემდა და როცა გაჭირვებულს ეხმარებოდა, ბავშვივით ხარობდა. კომანში მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. საარტილერიო ცეცხლი არ წყდებოდა. იყვნენ დაჭრილები. ერთ-ერთი დაბომბვისას იური ანუას სახლი დაინვა, ოჯახი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ ვერ დავინახეთ ცრემლი მათ თვალებში. გვამშვიდებდნენ — „ყველაფერი ღვთის ნებაა. მთავარი ისაა, რომ ღმერთს არ მივუტოვებთ“. მამა ანდრიას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა — მტრის შემოჭრის შემთხვევაში სიკვდილს ღირსეულად შეხვედროდა...“

„დილის ხუთის ნახევარია. ალყაში მოგვაქციეს, — ყვება მონოზონი მარიამი (იური ანუას მეუღლე). — ყვიროდნენ, კარები გაგვეღო. მამა ანდრიას კურთხევით ჩემმა მეუღლემ, იურიმ, კარები გააღო. ის ცემით გაიყვანეს. ურტყამდნენ ავტომატის კონდახებს.

მას მერე ჩვენ იური აღარ გვინახავს. ის უკვალოდ დაიკარგა. ცოტა ხნის შემდეგ მამა ანდრიაც გაიყვანეს ტაძრიდან. უთხრეს, რომ ისინი მას მოკლავდნენ. როგორც შემდეგ გავიგეთ, მამა ანდრია მუხლებზე დადგა და ლოცვა დაიწყო. კისერში ესროლეს. იმის ნაცვლად, რომ ის წინ დაცემულიყო, როგორც ეს ჩვეულ-



ბრივ ასეთ დროს ხდება, მამა ანდრია ზურგით დაეცა. მან თავი არ მოუდრიკა მკვლელებს. მთელი ოცი წუთის განმავლობაში სისხლი ნაკადულივით მოედინებოდა. მამა ანდრიას და იურის ტაძრიდან გაყვანიდან რამდენიმე საათის შემდეგ ახალგაზრდა შემოვიდა და თქვა: „მათ თქვენი მოძღვარი მოკლეს“. გაოგნებულები, სასწრაფოდ გავედით ეკლესიის ეზოში. მამა ანდრიას სხეული მიწაზე იდო. მის სახეს ღვთიკურთხეული, ოდნავ შესამჩნევი, ნაზი ღიმილი დასთამაშებდა...“ მონოზონ მარიამის მონათხრობში იგრძნობოდა, რომ ეს სურათი მისთვის დღესაც სულისშემძვრელია და არასოდეს ამოიშლება მისი გონებიდან...

იური (გიორგი) დიმიტრის ძე ანუა დაიბადა 1934 წლის 6 აგვისტოს ქ. ოჩაჩირეში. 1980-იან წლებში ანუების ოჯახმა სოფელ კომანში სააგარაკე მიწა შეიძინა, აქვე აგარაკი ააშენეს, სადაც ფაქტიურად ცხოვრობდნენ კიდევ. 1988-1990 წლებში იური ანუამ ამავე სოფელში არსებული ნგრევისპირას მიწა, იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი, საკუთარი სახსრებით აღადგინა. 1990 წლის 25 ნოემბერს წმ. იოანე ოქროპირის სასწაულთმოქმედი ქვის სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძრიდან კომანის განახლებულ ეკლესიაში დააბრუნეს. ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო წირვა აღავლინა. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ იური (გიორგი) ანუას განუული უდიდესი ღვანლისათვის, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმ. გიორგის

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

პირველი ხარისხის ორდენი გადასცა. კომანის მთებში წმ. იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნის ადგილამდე მისვლის გასაადვილებლად იურიმ 1500-საფეხურიანი რკინის კიბე აღმართა. ყოველი 100 საფეხურის შემდეგ გაკეთებული იყო სკამი მომლოცველთა დასასვენებლად. მორწმუნენი ყოველი წლის 7 ივლისს ადიოდნენ ამ მთაზე. ადგილობრივი კომუნისტური პარტიის აქტივისტებმა წმიდა მონამე ვასილისკოს სასწაულმოქმედ წყაროსთან საკალმახე მეურნეობის მოწყობა გადაწყვიტეს. ჰექტარამდე მიწა გათხარეს და უზარმაზარი რეზერვუარი ააშენეს. შემდეგ რატომღაც თევზის გაშენება არ მოხერხდა და წლების განმავლობაში ეს აუზი ბაყაყების და ქვეწარმავლის ბუდედ იქცა. იურიმ გაასუფთავა წმ. წყალი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს უზარმაზარი აუზი ისევ მინით ამოავსო და იქაურობა გამწვანდა. წმ. წყაროს კოლოსალური სულიერი და სამკურნალო ძალა აქვს. იური (გიორგი) ანუას წმ. წყაროზე მცირე ბაზილიკის ტიპის ეკლესიის აშენება ჰქონდა განზრახული. ასევე წმ. ილია წინასწარმეტყველისა და წმ. ვასილისკოს საფლავთან ტაძრების აღდგენა, ხოლო წმ. იოანე ნათლისმცემლის მთაზე სალოცავის გაკეთება სურდა. საუბედუროდ, ყოველივე ამის გაკეთება არ დასცალდა...

5 ივლისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში მამა ანდრია ყურაშვილისა და იური (გიორგი) ანუას სხოვნისადმი პატივის მისაგებად შეიკრიბნენ საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი, მონოზონი ელენე

(ნაფეტვარიძე), მამა დავითი (კონჯარია), სხვა სასულიერო პირები, იური ანუას ქალიშვილი მანანა, ექიმი ზურაბ ჩიქოვანი, ახალგაზრდა მომღერლები სალომე ჯიქია, ალუდა თოდუა, ცენტრის თანამშრომლები. მეუფე დანიელმა დალუპულთა მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. შემდეგ გაიხსენეს ის ტრაგიკული დღეები, როდესაც ომის ცეცხლში გახვეულ სოფელში მამა ანდრია მშვიდად ავრძელებდა თავის ბერულ მოღვაწეობას, ზრუნავდა იქ დარჩენილ მოსახლეობაზე, რომელიც ტაძარს აფარებდა თავს.

— დღეს წმიდა სინოდი შეიკრიბა, — ბრძანა მეუფე დანიელმა. — დასრულების შემდეგ, სადილზე, უწმიდესმა და უნეტარესმა და ჩვენ, მღვდელმთავრებმა, მოვიხსენეთ მამა ანდრია და იური (გიორგი). უწმიდესმა თქვა, რომ ისინი არიან მონამენი. ეს ჩვენ ადრეც გვითქვამს და ყველამ ვიცით, რომ ასე, მაგრამ რაღაც სხვა შინაარსი იყო ამაში. მართლაც, ეს ის ადამიანები არიან, რომლებზედაც ფიქრობს ეკლესია, რომ ისინი ღირსნი არიან მომავალში მონამეთა ხარისხში იყვნენ შერაცხილნი და სინოდზე ამის თქმა სულ სხვანაირად ჟღერდა. ამით იმის თქმა მიწადა, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა, ჩვენ ღვთის მადლით შევიკრიბეთ აქ და გვაქვს საშუალება, რომ ისინი მოვიხსენოთ. სათნოა ღვთისათვის ჩვენი შეხვედრა. ყველა, ვინც იქ დაიღუპა, მონამეობრივად აღესრულა, მაგრამ ეს ორი ადამიანი გამოარჩია ღმერთმა რაღაც განსაკუთრებულად. ისინი თავსაც კი არ იცავდნენ, არათუ სხვას ებრძოდნენ და ასეთი სრული თავდადება, სრული შეწირვა ძალიან დიდი ღვაწლი იყო მათი მხრიდან და მათი სუ-

ლები ნამდვილად დიდი მადლით არიან აღსავსე და ღმერთმა ინებოს, რომ ეს ჩვენი მოლოდინი ასრულდეს და ეკლესიამ მოახდინოს მათი წმინდანად შერაცხვა. ყველას გილოცავთ ამ დღეს. დღეს ცირა, და მამა ანდრია, გამოვიდა ტელევიზიით და მან თქვა, რომ ხომ ასეთი მწარე დღე იყო, მაგრამ რაღაც დიდი განცდა შეგვემატა, რაღაც დიდი მადლი გადმოვიდა ჩვენზეო. მართლაც, მათი სისხლი იყო ცოდვის დიდი ტვირთის მოხსნა ჩვენი ერისათვის. ღმერთმა აცხოვრნოს და ნათელში ამყოფოს მათი სულები.

იური ანუას ქალიშვილმა მანანამ გაიხსენა განცდები, რომლითაც მათ მამა ანდრიას სიმშვიდე ავსებდა. არც ტყვიის ემინოდათ თითქოს, არც ასე ახლოს მყოფი მტრის. მამა ანდრია რომ გაიყვინეს, არავის უფიქრია, რომ მას ასე გაუსწორდებოდნენ, ისევე, როგორც არ იცოდნენ, რა მონამეობრივად აღესრულა მამამისი, აფხაზი იური ანუა.

„მამა ანდრია ჩვენთვის ღვთისაგან მოვლენილი დიდი საჩუქარი იყო. მან განანათლა ჩვენი სულები იმ დაულამებელი ნათელით, რომლითაც აღსავსე იყო მისი სული“, — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი მოგონება ქალბატონმა მანანამ.

დამსწრებს შესატყვისი მუსიკალური განწყობა შეუქმნეს სოლისტმა ვოკალისტებმა სალომე ჯიქიამ და ალუდა თოდუამ. საღამოსაგან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარებისაგან თავი ვერ შეიკავა სალომე ჯიქიას კონცერტ-მაისტერმა ლია სონღულაშვილმა: „მე არ ვიცოდი, სად მოვდიოდი, მაგრამ რაც აქ მოვისმინე და შევიტყვე, სიცოცხლის ბოლომდე არ დამავინწყდება“...

წმიდა მენელისა და იური (გიორგი) ანუას მონამეობრივი მემკვიდრეობის შესახებ (I)
 22 (04.08) ივლისი

წმიდა მოციქულთასწორი მენელისა ცხებულე მარიამ მაგდალინელი გენესარეთის ტბის პირას, კაპერნაუშსა და ტიბერიადას შორის მდებარე პატარა ქალაქ მაგდალაში დაიბადა და აღიზარდა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, იგი, მშვენიერი და მომხიბლავი, ყმანვილქალობაში თავშეუკავებლად ცხოვრობდა. სახარება გვამცნობს, რომ მომავალ წმიდანში შვიდი ეშმაკი ბუდობდა (ლკ. 8:2; მკ. 16:9). მას შემდეგ, რაც იესო ქრისტემ სწული მარიამი განკურნა, იგი ღვთაებრივი სიყვარულით აენთო და მაცხოვრის ერთგული მონაფე და მიმდევარი შეიქნა. მარიამ მაგდალინელი თან ახლდა მაცხოვარს, როცა იგი მოციქულებთან ერთად იუდეისა და გალილიის ქალაქებსა და დაბებში მოგზაურობდა სახარების ქადაგებით. როგორც ჩანს, ლუკა მახარებელი მასაც გულისხმობს იმ დეებში,

რომლებიც თან გაჰყვნენ გოლგოთაზე მაცხოვარს, „ეტყებდეს და სტიროდეს მას“ (ლკ. 23; 27). მარიამ მაგდალინელი ღვთისმშობელთან და მოციქულ იოანესთან ერთად მოძღვრის გვერდით იდგა მაშინაც, როცა მას — ჯვარცმულსა და დამცირებულს — ყველა მონაფე შემოეფანტა. მახარებლები ჯვართან მდგომარეთა შორის ასახელებენ აგრეთვე მარიამს — მოციქულ იაკობ მცირის დედას, სალომეას და სხვა ქალებს, რომლებიც გალილეაში დაემონაფნენ ქრისტეს, მაგრამ ყველანი პირველად მარიამ მაგდალინელს იხსენიებენ (მთ. 27:55-56; მკ. 15:40-41; ლკ. 23; 49; ინ. 19; 25). ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ გამოირჩეოდა იგი მაცხოვრის თანმხლებ დეებზე შორის. სიყვარულითა და მადლიერებით აღვსილი მარიამი სხვა დეებთან ერთად, სურნელოვანი

ნელსაცხებლებით ხელში გაეშურა მოძღვრის წმიდა ცხედრისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. მარიამმა აქაც გაუსწრო ყველას. ჯერ კიდევ „ვიდრე ბნელა იყო“, მიეახლა აკლდამას და ჰპოვა „ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან“; გაოცებულმა და შეშინებულმა, სირბილით მიმართა იესოს ორ უახლოეს მონაფეს — სიმონ-პეტრესა და იოანეს და მაცხოვრის ცხედრის გაუჩინარება ამცნო. მოციქულებმა ისწრაფეს საფლავისკენ, იხილეს „ტილონი იგი მდებარენი და სუდარი იგი... თვსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა“, შეძრწუნდნენ და განერიდნენ იქაურობას, მარიამი კი „დგა გარემუ საფლავსა მას თანა და ტიროდა“. აცრემლებულმა კიდევ ერთხელ შეიხედა გამოქვაბულში — სურდა დარწმუნებულიყო, რომ ის წამდვილად ცარიელი იყო და აი, მაშინ უფალმა სუ-

ლიერი თვალები აუხილა ნეტარს — მან „იხილა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერწით, სადა-იგი იდგა გუამი უფლისა იესუსის“. მათ კითხვაზე: „დედაკაცო, რასა სტირ?“ მარიამმა იმავე სიტყვებით უპასუხა, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ პეტრეს და იოანეს მიმართა: „აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, და არა უწყი, სადა დადევს იგი“. შემდეგ შებრუნდა და, „იხილა იესუ მდგომარე“, მაგრამ ვერ იცნო — მებაღე ეგონა და თხოვნით მიმართა: „უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვილო იგი“. მაცხოვარმა დამწუხრებულ ქალს დაუძახა: „მარიამ!“ იცნო მარიამმა მოძღვრის უტკბესი ხმა, აღტაცებით შესძახა: „რაბბუნი!“ (მოძღვარო!) „და მირბიოდა შემთხუევად მისა“; მაგრამ ქრისტემ უთხრა: „ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“.

სიხარულით გაოგნებული და აღფ-

როთვანებული მარიამი გონს მოეგო, კვლავ გაიქცა მოციქულებისკენ, „რომელნი იგლოოდეს და ტიროდეს“ და ახარა, „რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა“ უფალი. ეს იყო აღდგომის პირველი ქადაგება ამქვეყნად: მოციქულებს მთელი სამყაროსთვის უნდა ეხარებინათ, მან კი თავად მოციქულებს ახარა...

წმიდა წერილი არაფერს მოგვითხრობს მარიამ მაგდალინელის ცხოვრებაზე ქრისტეს აღდგომის შემდეგ, მაგრამ უეჭველია, რომ ის, ვინც ჯვარცმის უმძიმეს ჟამს მაცხოვრის ჯვრის კვარცხლბეკთან იდგა, აღდგომიდან ამალეობამდეც მის გვერდით იქნებოდა.

წმიდა გადმოცემა მოგვითხრობს, რომ, როცა სულიწმიდის მადლით აღესილმა მოციქულებმა დატოვეს იერუსალიმი და ქვეყნის სხვადასხვა კიდეს მიაშურეს საქადაგებლად, მარიამ მაგდალინელი რომში ჩავიდა. მან მთელი იტალია მოიარა სახარების ქადაგებით, ტიბერიუს კეისრის (14-37) კარზეც შეაღწია და ძღვნად წითელი კვერცხი მიართვა. სწორედ მარიამ მაგდალინელისგან მომდინარეობს აღდგომის დღე-

სასწაულზე წითლად შეღებილი კვერცხების მირთმევის ტრადიცია. წმიდა მენელსაცხებლე დედა განაგრძობდა თავის მოციქულბრივ ღვაწლს იტალიასა და ქალაქ რომში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ მას გულისხმობს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, როცა წერს: „კითხვაჲ არქუთ მარიამს, რომელ-იგი ფრიად დაშურა ჩუენ-და მომართ“ (16:6).

წმიდა მარიამმა ეფესოში შეჰვედრა სული უფალს და იქვე მიაბარეს მინას. მისი უხრწნელი ნაწილები IX საუკუნეში გადაასვენეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში და წმიდა ლაზარეს სახელობის მონასტრის საყდარში დააბრძანეს. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ეს სინმიდე იტალიაში გადაიტანეს და რომში, იოანე ლატერანის ტაძრის საკურთხევლის ქვეშ დაკრძალეს. ნაწილი ნეტარი დედის წმიდა ნაწილებისა საფრანგეთში, მარსელის მახლობლად, მისი სახელობის ტაძარშია დასვენებული.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001 წ.

საკლესიო კალენდარი

- 1 აგვისტო (ოთხშ.)
- 2 აგვისტო (ხუთშ.)
- 4 აგვისტო (შაბ.)
- 6 აგვისტო (ორშ.)
- 7 აგვისტო (სამშ.)
- 9 აგვისტო (ხუთშ.)
- 11 აგვისტო (შაბ.)
- 12 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-10 კვირა — აღმს. ცოტნე დადიანის ხსენება;
- 14 აგვისტო (სამშ.)
- 15 აგვისტო (ოთხშ.)
- 16 აგვისტო (ხუთშ.)
- 17 აგვისტო (პარ.)
- 19 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-11 კვირა — ფერისცვალება;
- 22 აგვისტო (ოთხშ.)
- 26 აგვისტო, სულთმოფენობიდან მე-12 კვირა — ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);
- 27 აგვისტო (ორშ.)
- 28 აგვისტო (სამშ.)
- 29 აგვისტო (ოთხშ.)
- 30 აგვისტო (ხუთშ.)
- 31 აგვისტო (პარ.)
- ღირ. სერაფიმე საროველის ნაწილთა პოვნა (1903წ.);
- წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხსენება (IXს. ქრისტეს წინ);
- წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენება (1907წ.);
- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე.
- მოც. სწორის მენელსაცხებლის მარიამ მაგდალინელის ხსენება (IIს.);
- ღირ. ილარიონ თუალელის ხსენება (XIIს.);
- მიძინება მართალი ანასი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა;
- დიდმონამე პანტელეიმონ მკურნალის ხსენება (305წ.);
- მოწ. ევსტათი მცხეთელის ხსენება (589წ.);
- ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანება;
- მარიამოპოს მარხვის დასაწყისი!
- წყლის კურთხევა (მცირე აიაზმა).
- პირველმონამე მთავარდიაკონ სტეფანეს ნან. აღმოყვანება (დაახ. 428წ.);
- პირველმონამე რაჟდენის ხსენება (457წ.);
- შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);
- მოც. მატათას ხსენება (დაახ. 63წ.);
- ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);
- მღვდელმონამე ნაზარის (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის) ხსენება (1924წ.);
- მარიამოპა (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება);
- სიონობა;
- ღმრთისმშობლის ხატთა თაყვანისცემა.
- წამოყვანება იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატისა ედესით კონსტანტინეპოლს (944წ.);
- ანჩისხატობა;
- მამა ანტონობა მარტყოფში.
- წმ. ტბელ აბუსერიძის (ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფის) ხსენება;
- ღირ. ქრისტოდულეს (ფილოსოფოსის) ხსენება (XIIIს.);

- 1 სექტემბერი (შაბ.) — მონ. ანდრია სტრატილატის და მისთანა 2593 მოწამეთა ხსენება (284-305წ.);
- 2 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-13 კვირა — წინასწარმეტყველ სამუელის ხსენება (XI ს. ქრისტეს წინ) — ღიდგომოშა
- 3 სექტემბერი (ორშ.) — ღირ. თადეოზ სტეფანწმინდელის (VI ს.) და მოციქულ თადეოზის, სამოცდაათაგანის ხსენება (44წ.);
- 8 სექტემბერი (შაბ.) — მონ. ანდრიანეს და ნატალიას ხსენება (305-311წ.);
- 9 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-14 კვირა — ღირ. პიმენი დიდის ხსენება (დაახ. 450წ.);
- 10 სექტემბერი (ორშ.) — წმ. მოწამე დედოფალ შუშანიკის ხსენება (475წ.);
- 11 სექტემბერი (სამშ.) — თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი. მარხვა!
- 13 სექტემბერი (ხუთშ.) — დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობლისა (395-408წ.);
- 14 სექტემბერი (პარ.) — გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტისა; — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება მთავარსაგანსა (864წ.);
- 17 სექტემბერი (ორშ.) — ღირ. სვიმეონის, გარეჯის წინამძღვრის, წინასწარმხედველისა და საკვირველთმოქმედის ხსენება;
- 18 სექტემბერი (სამშ.) — წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობელთა, წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედის ხსენება;
- 19 სექტემბერი (ოთხშ.) — ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა (IV ს.);
- 21 სექტემბერი (პარ.): — შობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა; — წმ. აღმსარებელთა — იოანეს (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) ხსენება; — დიდუბობა, გელათობა, შუამთობა, ბეთანიობა.
- 22 სექტემბერი შაბათი — წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანას ხსენება;
- 24 სექტემბერი (ორშ.) — კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა — 300 არაგველთა და სასულიერო და საერო პირთა ხსენება (1795წ.);
- 25 სექტემბერი (სამშ.) — წმ. მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის ხსენება;
- 26 სექტემბერი (ოთხშ.) — ჯვართამაღლების წინაღღესასწაული; — ენკინია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმ. ტაძრის განახლება იერუსალიმში (335წ.); — დიდმოწამე საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქაიხიძის ხსენება (1624წ.);
- 27 სექტემბერი (ხუთშ.) — ჯვართამაღლება. წმ. იოანე ოქროპირის მიცვალება (407წ.);
- 28 სექტემბერი (პარ.) — ღირ. ამბა იოსებ ალავერდელის ხსენება (570წ.);
- 29 სექტემბერი (შაბ.) — მონ. ორთა ძმათა – ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუ ქალაქში წამებულთა (808წ.);
- 30 სექტემბერი (კვ.) — მონ. პისტის, ელპიდის, არაპისა და მათი დედის სოფიოს ხსენება (დაახ. 137წ.);

ჩვენი მოძღვარი

ქრისტიანული ოჯახი

(დასაწყისი №4)

III. ოჯახის სიმტკიცის აუცილებელი პირობები

ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II აღნიშნავს: „*დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. გადაუჭრელი და გამოსასწორებელი ბევრი საკითხია, რომელიც საზოგადოებისგან სწრაფ რეაგირებას ითხოვს, მაგრამ არაფერს არ ექნება აზრი, ... თუ ჩვენს მომავალზე სერიოზულ-*

ლად არ ვიზრუნეთ.

ამგვარად, ქვეყნის წინაშე ოჯახის ერთ-ერთი უდიდესი მოვალეობა შვილიერება, *ბავშვების სწორი აღზრდაა*, რაშიც, მამასთან ერთად, უდიდესი როლი დედას განეკუთვნება.

გვსურს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ილია II-ის ქადაგებებიდან ის მონაკვეთი გავიხსენოთ, რომელიც *ქალის როლის* წარმოჩენას ეხება: „*საზოგადოებაში ქალისთვის უფრო საპატიო და დასაფასებელი*

მოვალეობა, ვიდრე შვილების სწორი აღზრდაა, არ არსებობს“. ასევე, აქვეა ქალებისადმი მოწოდება გულმხურვალე ლოცვის, მოწყალების საქმეთა და სხვა სათნოებათა აღსრულებისათვის.

მართლმადიდებლური თვალთახედვით, ქვეყნის ცხოვრებაში ქალის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რისი დასტურიცაა:

— ქალი — მეუღლე, დედა, დიასახლისი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული;

— ქალი — ხატმწერი, საღვთისმსახურო შესამოსლისა და სხვადასხვა ნივთების მქარგველი, ტიხრული მინაქრისა

თუ ხეზე კვეთის ოსტატი;

— ქალი — ღვთისმსახურებაში ჩართული, როგორც მაგლობელი თუ მედავითნე (ნიგნის მკითხველი);

— მონოზონი ქალები, რომელთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება და მრავალი სხვა.

ამდენად, საზოგადოებაში როგორც კაცის, ისე მანდილოსნის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რაც, ბუნებრივად, ქრისტიანული სწავლების თანხმეორია. ნმიდა პავლე მოციქული გვამცნებს:

„არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთხარით ქრისტე იესუს მიერ“ (გალ. 3, 28).

ამასთან, კაცს მანდილოსნისადმი უდიდესი კრძალულებისაკენ მოუწოდებს უფალი, რომელიც ბრძანებს: **„ქმარნი ეგრეთვე თანამკვდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უშუალოდ უფალსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანამკვდრთა მადლისა ცხორებისათა, რათა არა დაბრკოლდებოდინ ლოცვასა თქვენსა“** (1 პეტრ. 3, 7).

მისი უნმიდესობა ბრძანებს:

— **„ქალზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად იღბლიანი იქნება ქორწინება. ამიტომაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის ირჩევს ადამიანი ცხოვრების თანამგზავრად. ასევე განათვალწინებულა ის წინაპირობანი, რაც განსაზღვრავს ამ კავშირს. თუ ოჯახის შექმნას მხოლოდ ხორციელი ვნება, ან ანგარება განსაზღვრავს, ფაქტობრივად, იგი თავიდანვე განწირულია დარღვევისათვის, რადგან მიწიერ, წარმავალ ღირებულებებზეა დაფუძნებული“**.

და კვლავ, მსჯელობს რა ოჯახის სიმტკიცეზე, მისი უნმიდესობა გვმოძღვრავს:

— **„ოჯახში ნორმალური ცხოვრების დამკვიდრებისათვის აუცილებელია უფროსის პატივისცემა, მტკიცეობა და ცვა, მოთმინების უნარი. ასევე უდიდესი სათნოებაა თავდადება. ღირსეული მეუღლენი ერთმანეთისა და შვილებისადმი სწორედ მსხვერპლშენიერი სიყვარული ცხოვრობენ, რაც მოყვასისადმი მათ ქრისტიანულ დამოკიდებულებას განაპირობებს“**.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი ოჯახური ურთიერთმიმართება ცოლ-ქმარს შორის, რისთვისაც უფლის შემდეგ შეგონებას უნდა მივაპყროთ გულისყური:

— **„ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ თავი არს ქმარი ცოლისა“** (ეფეს. 5, 22-23);

— **„ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია, და თვისი მისცა მისთვის“** (ეფეს. 5, 25).

— **„მოდვრებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობა ქმრისა, არამედ რათა იყოს იგი მყუდროებით“** (1 ტიმ. 2, 12).

ოჯახური თანაცხოვრება მეტად რთულია და მის კეთილდღეობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II განსაკუთრებულ ყურადღებას აბორტის თემას უთმობს. იგი მიიჩნევს, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა მუცლად მონყვეტა — აბორტია. მოგვყავს ამონარიდები მისი უნმიდესობის ეპისტოლედან:

— **„...ამ ცოდვის ჩამდენ მეუღლეთა თანაცხოვრება თანდათან ნამებად იქცევა: შვილები მშობლებს აღარ ემორჩილებიან, ბავშვები ავადყოფები ჩნდებიან, თვითონ დედ-მამას კი სხვადასხვა დაავადება ახსენებს თავს, გულგრილი ხდება მათი ურთიერთობაც და ღალატი ცხოვრების წესად ექცევათ“** (ილია II 2008: 143);

— **„საზოგადოება სავსეა შვილისმკვლელი მშობლებით და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მათ ცოდვის შესატყვისი გაცდა არა აქვთ“** (ილია II 2008: 144);

— **„რა თვისების მატარებელი იქნება ის თაობა, რომლის დედაც, მამაც, ბებიაც, დედაც და, საერთოდ გარშემო მყოფთა წრე, უსასტიკეს მკვლელობათა ჩამდენია. ეს ცოდვა ბუნებრივად მოუბრუნდება ყველას“** (ილია II 2008: 144);

... და მრავალი სხვა, რაც ნათლად წარმოაჩენს ძირითად მიზეზებს ოჯახის სულიერი რღვევისა, თუნდაც რომ გარეგნულად ოჯახი მტკიცე ჩანდეს.

IV. შვილების აღზრდის საკითხი

შვილების აღზრდის საკითხზე საუბარს წმ. გრიგოლ პალამას შეგონებით დავიწყებთ, რომლის მიხედვით, ყოველი პიროვნება, რამდენადაც შესაძლებელია, თანაზიარი უნდა გახდეს ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა, რომლის დასაწყისიც ნათლისღებაა, შუა ნაწილი — ღვთისსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვა, ხოლო დასასრული — ვნებებზე გამარჯვება.

ვფიქრობთ, აღნიშნული სწავლება არის ის ღერძი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ბავშვთა აღზრდა. **„...ვერანაირი მიწიერი სიმდიდრე სულიერ სიცარიელეს ვერ ამოავებს“**; ბრძანებს მისი უნმიდესობა და მოგვმართავს:

— **„ბავშვისათვის მოყვასი მისი ოჯახის წევრებსა და ახლობელთა ვინრო წრეს ნიშნავს. მოზრდილი ადამიანისათვის — „მოყვასის“ სივრცეს მისი ქვეყანა და ხალხი ავსებს. მასთანაა იგი დაკავშირებული სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკური-მოქალაქეობრივი ვალდებულებით. საკუთარი ხალხის კულტურა, ცხოვრების წესი, თუ ტრადიცია არის მისთვის მშობლიური და საყვარელი.“**

უკვე სრულად განვითარებული, მაღალი ზნეობის პიროვნებებისათვის კი ნებისმიერი ადამიანი მოყვასია.



უნდა ითქვას ისიც, რომ მესამე ასაკობრივი საფეხური გულისხმობს პირველი და მეორე საფეხურის აუცილებელ არსებობას ისევე, როგორც მეორე საფეხური გულისხმობს პირველი საფეხურის არსებობას.

პატრიოტულად ბავშვთა აღზრდის თემასთან დაკავშირებით, მისი უნმიდესობა და უნეტარესობა ილია II ვაჟაფშაველას მოსაზრებებზე ამახვილებს მორწმუნე ერის ყურადღებას: **„...რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოდმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“**.

ავამებს რა ზემოთქმულს, მისი უნმიდესობა ასკვნის: **„აი, აქა აქვთ დაშვებული შეცდომა კოსმოპოლიტებს. ისინი მესამე საფეხურს მეორის გარეშე მოიხზრებენ და ადამიანებს არაჯანსაღი, უშინაარსო, უსულო საზოგადოების შექმნისაკენ უბიძგებენ“**.

და კვლავ, მისი უნმიდესობა დასძენს:

— **„ოჯახი, ახლობელთა წრე, სამშობლო, მოყვასი, სამყარო ის კიბეა, რომლის თითოეული საფეხური მომდევნოს საყრდენია და მის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნების შინაგანი მთლიანობის შექმნა. ამიტომაც, თუ გვსურს ვიყოთ თავისთავადნი და არა უფორმო, უსახო, საზოგადო მასის წარმომადგენლნი, უნდა ვიყოთ ეროვნული სულის ღირსეული მატარებელნი. ასე აღზრდილი ადამიანი ყოველთვის პატივს მიაგებს სხვა (გაგრძელება მე-10 გვ.)“**

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ეროვნების წარმომადგენელთ, სათანადოდ აფასებს როგორც საკუთარს, ისე სხვათა ღირსებასა და თავისთავადობას. ასეთი ადამიანი პიროვნებაა, რადგან მას თავისი მეობა აქვს. იგივე ითქმის ერზეც. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ერთი პიროვნული სახის მატარებელია, თავისთავადია და ამით არის სწორედ დასაფასებელი“.

ამასთან, განაგრძობს რა ამ თემაზე საუბარს, ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ასე გვმოდღვრავს:

— „ყოველი ქრისტიანი, მონყალე სამართლის მსგავსად, არა მხოლოდ თავისიანებისა და ახლობლების, არამედ საერთოდ, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა, ყველა ადამიანის მიმართ მონყალე უნდა იყოს, რადგან ქრისტიანულმა სიყვარულმა საზღვრები არ იცის“.

— „ჭეშმარიტების შეცნობა და თავისუფლება სუფთა, უმანკო გულიდან მომდინარეობს. გული ჩვენი მესამე თვალია. რწმენა, სასოება და სიყვარული მისი უმთავრესი თვისებებია. მაგრამ ეს სათნოებანი შელახულია ჩვენი ცოდვებით. სწორედ ცოდვით დაცემამ დაამორა ადამიანი ღმერთს. თუ გვსურს უფალთან დაახლოება, ცოდვებისაგან თანდათანობითი განშორებითა და ჩვენი თავის შეცნობით უნდა დავიწყოთ“ (ილია II).

ცოდვთაგან თავის დასახსნელად, შვილებს პატარაობიდანვე უნდა შთავაგონოთ უფლისმიერი სწავლება:

— „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა“ (იაკობ. 4, 17). ანდა:

— „და ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითა იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა, და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3, 23) და მრავალი სხვა.

სწორედ ასე გვესახება მოზარდებში სწორი ორიენტირების, ქრისტიანული აზროვნების ჩამოყალიბება და მათი სულელებისათვის ზრუნვა, რათა ჩვენც და ჩვენმა შვილებმაც, მეორედ მოსვლის ჟამს, ვისმინოთ ყოვლადსამართლიანი მსაჯულისაგან: — „კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მთ. 25, 21).

V. მოზარდი, ოჯახი, საკოლა და ეკლესია

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, დღენიდად ზრუნავს რა თავის სამწყსოზე, და განსაკუთრებით კი მოზარდ თაობაზე, მთელ ერს მიმართავს:

— „...დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის“ (ილია II 2008: 157).

ძალზე აქტუალურად გვესახება რა ზემოაღნიშნული შეგონება, დავძენთ:

აუცილებელია იმის გაცნობიერე-

ბა, თუ რაოდენ განუზომელია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი ქართველი ერის სულიერი მთლიანობის, მისი ზნეობრივი განმტკიცების, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ასევეა დღესაც. ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიული ურთიერთობის გარეშე არ მოიაზრება პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს, საქართველოს მომავალი. ვერც პოლიტიკური და კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი საკითხები ვერ მიიღებენ ისეთ მიმართულებას და გადაწყვეტას, რაც ღვთისათვის სათნო და ხალხისთვის საკეთილდღეო იქნება.

წმიდა ილია მართალი, რომელიც ერის უტეხი სულისა და ყოველთა ერთობის ნიშანსვებად წარმოგვიჩნდება, ასე შეგვაგონებს:

— „...ერის პირველ დამხობა, გათახსირება, განყალბება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორციტ მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთი ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო“ (ჭავჭავაძე 2005: 368);

— „ქრისტეს რჯული ქართველებსათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვეთკორიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“ (ჭავჭავაძე 2005: 425), და ა. შ.

სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს მოზარდი თაობა, თუმცა, ვფიქრობთ, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის მითითებები:

— „მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.

საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა“ ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ.: სხვისი უზნეობა

თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...

და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითა ადამიანისათვის, რომელიმე მათგანის უგულვებლყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას“ (ეპისტოლე 2012: 8-9).

უფალი მეფსალმუნე დავითის პირით გვაძეგნებს:

— „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი,... რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი“ (ფს. 80, 13-14). სწორედ ამიტომ: „ღვთისა მიერ ვჰყოთ ძალი, და მან შეურაცხყუნის მტერნი ჩუენნი“ (ფს. 107, 13);

ფიქრობთ, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ჩვენი ერის დღევანდელი რთული ყოფის უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც ჩვენს სათქმელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის ქადაგებებიდან ამოკრებილი ფრაგმენტებით დავასრულებთ:

— „მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი... იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი“ (ილია II 2008: 192);

— „უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები... და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები...“ (ილია II 2008: 192);


— „...ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული, და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარმართება“ (ილია II 2008: 160);

— „საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება (ილია II 2008: 188).

ამით ვასრულებთ ჩვენს მწირ სიტყვას და საქართველოს მომავალს ვავედრებთ უფალს, რომლისა არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!


თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი (გუნიანი)

ღვთაებრივი ტექნოლოის ძალა



პაპ სულიერ სურყოფისაჲს





ქაშანი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციციანო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი